

# მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

## ოქმი №6

ქ. მარტვილი

24 მარტი, 2021 წელი

სხდომა დაიწყო 13 სთ-ზე დამთავრდა 14.30 სთ-ზე

**სხდომას ესწრებოდნენ:** ალექსი გაბისონია, ზურაბ მელიავა, რამაზ ხურცილავა, თორნიკე ჯანაშია, გიორგი გაბუნია, ლევან სურმავა, ელდარ თოდუა, ბორის მიქავა, რომან ფონიავა, ირინა გადელია, კობა დარჯანია, ელიზბარ ახვლედიანი, დავით ბარამია, შალვა ბახია, გოგი ბასილაია, გოჩა ლაშხია, ზაზა რუხია, ვახტანგ კეკელია, ავთანდილ ჯიქია, ნოე დანელია, რობერტ კაკულია.

ასევე ესწრებოდნენ: მარტვილის მინიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გაბისონია.

**მოისმინეს 1:** სხდომის თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით გააცნო სხდომის მონაწილეებს და სთხოვა აზრი გამოეთქვათ დღის წესრიგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხის წინ გაეგლოთ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 მარტის დღის წესრიგის პროექტი დასამტკიცებლად დასვა კენჭისყრაზე.

კეჭისყრის შედეგი:

მომხრე 21 წინააღმდეგი 0.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით

„მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 მარტის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 მარტის №12 განკარგულება სხდომის ოქმს თან ერთვის./

### დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;  
/მომხსენებელი-ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28

დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად განსახორციელებელი სამუშაოების მოწონების თაობაზე.

/მომხსენებელი-ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე/

**მოისმინეს 2:** მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ალექსანდრე ხურცილავას მოხსენება, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად განსახორციელებელი სამუშაოების მოწონების თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა რომ, საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მარტვილის მუნიციპალიტეტს გამოუყო 990000 ლარი, რომელიც ასახულ უნდა იქნას მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, და ასევე საკრებულოს წევრებს გააცნო შესაბამისი განკარგულების პროექტი და 2021 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის პროექტების ცხრილი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოეთქვათ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

**დაადგინეს:** კენჭი ეყაროს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად განსახორციელებელი სამუშაოების მოწონების თაობაზე“ განკარგულების პროექტს წარმოდგენილი სახით.

ამის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს საკითხის წინ გაეგლოთ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე, კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 21, წინააღმდეგი 0.

/„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად განსახორციელებელი სამუშაოების მოწონების თაობაზე მარტვილის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 მარტის განკარგულება N13 სხდომის ოქმს თან ერთვის./

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალექსი გაბისონია